თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. 19-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის მობინადრეთა ამხანაგობა 'ქავთარაძის 5' თავმჯდომარის **ხათუნა ეფრემიძის** (60002000191 ტელ: 599582949)

განცხადება

მინდა მოგმაროთ თხოვნით, განიხილოთ და დაგვიდასტუროთ ეზოს განახლების პროექტის მიზანშეწონილობა. პროეტის სხვადასხვა შესაძლო ვერსიის შედგენასა და მის შეთანხმებას დასჭირდა ბევრი წელი და მიგვაჩნია ეს არის ყველაზე კომპრომისული ვარიანტი, რაც მოემსახურება მობინადრეთა შორის უკეთეს სამეზობლო დამოკიდებულებას და ურთიერთპატივისცემას, ამხანაგობის წევრთა და განსაკუთრებით ბავშვების უსაფრთხოებას, კერძო მესაკუთრეთა უფლების დაცვას ხელი მიუწვდებოდეს თავიანთ კერძო საკუთრებაზე და გარემოს და მწვანე საფარის მაქსიმალური დაცვისა და შენარჩუნებას.

ჩვენი კორპუსი უშუალოდ ემიჯნება ქუჩას. ჩვენსავე შემობაში ქუჩის მხრიდან არის 4 კომერციული ფართი ოფისებით ან მაღაზიებით - შესაბამისი შტატითა და მომხმარებელთა ნაკადით, ასევე 2-ივე სადარბაზოში არის რამოდენიმე ბინა, რომელებიც გამოყენებულია ოფისად. ოფისების შტატის სავარაუდო ჯამური რაოდენობა ალბათ 90-ს აღემატება. ამას გარდა საქმიანობიდან გამომდინარე ზოგიერთ ოფისს ჰყავს მიმსვლელ-მომსვლელი მომხმარებელი - შესაბამისად მანქანის მფლობელი.

ჩვენი ეზოს ძირითადი ნაწილი ასევე წარმოადგენს სერვიტუტს და მეზობელი სახლის - 19ა მაცხოვრებლები, მათი სტუმრები და იქ განლაგებული ოფისებიც იყენებენ ჩვენს ეზოს როგორც გამავალ გზას ხშირად როგორც დროებით სადგომს. თავად 19ა-ში 66-მდე ბინათმესაკუთრეა და მათი ეზო შემოსაზღვრულია შლაგბაუმით.

სამწუხაროდ მანქანის გასაჩერებელი ადგილი ჩვენი 88 ბინიანი სახლისათვის ძალიან ლიმიტირებულია. შენობის ქვემოთ მდებარე სადგომი იტევს მხოლოდ 20 მანქანას, ხოლო ცალკე შენობა (N3) აქვს 10 ავტოფარეხი.
შესაბამისად ეზოში გავლა, ბავშვების დამოუკიდებლად გაშვება და მობინადრეთა




ავტომანქანების გაჩერება ან კერძო მფლობელობაში არსებული ფარეხის გამოყენება ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან არანაირი შეზღუდვა ან რეგულაცია არ არსებობს და ნებისმიერ მანქანას შეუძლია გააჩეროს მანქანა ნებისმიერ ადგილზე. სურათზე ნაჩვენებია ეზო ტიპიურ სამუშაო დღის განმავლობაში. შედეგად, მე როგორც ფარეხის მფლობელი, ვერც ფარეხში ვაყენებ მანქანას და იმისათვის, რომ გამოვიდე შემთხვევითი


პარკირების ადგილიდან, უნდა ვეძებო 3-4 მანქანის პატრონი რომ გიყვანონ მანქანა ეზოდან. უნდა შევნიშნო, იმის გამო რომ ფარეხების მფლობელები ვერ იყენებენ დანიშნულემისამებრ ფარეხს უფრო ამცირებს ეზოში არსებულ თავისუფალ სივრცეს.

არსებობს დამატებითი ტექნიკური/ინჟინრული ნაკლი - გაუთვლელი ნიუანსი ფარეხის წინა სივრცის დაგეგმარებაში. სივრცე, რომელიც არის დატოვებული სკვერსა და ფარეხს შორის ფაქტიურად შეუძლებელს ხდის მანევრირებას ფარეხში მანქანის შესაყვანად, როცა სკვერის გასწვრივ თუნდაც ერთ რიგად არის დაყენებული მანქანები.

იმისათვის, რომ შეიზღუდოს უცხო ავტომანქანების ეზოში შემოსვლა გასვლა და/ან პარკირება და მოხდეს ცივილურად მანქანების რეგულირებადი პარკირება მეზობლების მიერ შეთანხმებული შინაგანაწესით, რათა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ამხანაგობის წევრთა პრიორიტეტული უფლება ისარგებლონ ეზოს სივრცით და ასევე ფარეხის მფლობელებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს მათი კერძო საკუთრება, საჭიროა ეზოს რეკონსტრუქცია და ბარიერის (შლაგბაუმის) მოწყობა.

ეზოში მდებარეობს სკვერი შენობის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან. შემოთავაზებული პროექტი ითვალისწინებს ღრუტანიანი ფილებით სკვერის ცენტრში (25 კვ.მ.) და ერთერთ მხარეზე არსებული ქვაფენილის (28 კვ.მ) ჩანაცვლებას (დაახლოებით 53 კვ.მ) და ასევე სკვერის ფარეხების მომიჯნავე კიდეზე არსებული ბარდიურის გადაადგილებას 5.2 მეტრით და არსებული ბალახის საფარზე ღრუტანიანი ფილების გადაგებას (დაახლოებით 109 კვ. მ). ანუ თუკი ახლა სკვერის მწვანე საფარი არის დაახლოებით 155 კვ.მ, ამ ცვლილების შემდეგ იგი გახდება 205 კვ. მ. ქვემოთ მოცემულია სქემატურად (არა ზუსტი მასშტაბით) დაგეგმილი ცვლილებები.





დამატებითი კითხვებისათვის მზად ვარ
შეხვედრისათვის

ხათუნა ეფრემიძე
12 ივნისი 2025